European Monitoring Centre
for Drugs and Drug Addiction

Ministry of
Justice of
Georgia

ურთიერთგაგების მემორანდუმი

ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ევროპულ ცენტრსა

და

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

შორის

ურთიერთგაგების მემორანდუმი

ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ევროპულ ცენტრსა

და

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

შორის

ქ. თბილისი, 04 ნოემბერი, 2015 წელი

ერთი მხრივ, ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ევროპული ცენტრი (შემდგომში – „EMCDDA“) და, მეორე მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (შემდგომში – „იუსტიციის სამინისტრო“, ხოლო ერთობლივად – „მხარეები“), ევროპული პარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2006 წლის 12 დეკემბრის № 1920/2006 (EC) რეგულაციის (კონსოლიდირებული ვერსია, ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების № L 376/1; 2006 წლის 27 დეკემბერი) შესაბამისად,

1. საფუძველი

ითვალისწინებენ რა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ჩარჩოს, განსაკუთრებით კი - „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების მე-18 მუხლს,

აღიარებენ რა აღმოსავლეთის პარტნიორობის 2013 წლის საგზაო რუკას, რომლის მიხედვითაც, ევროპის კავშირს კვლავ გაცხადებული აქვს სურვილი აღმოსავლეთის პარტნიორობის სისტემის ფარგლებში სექტორული თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ, ანტინარკოტიკულ საკითხებზე ურთიერთთანამშრომლობის ჩათვლით,

მხარეები ხელმძღვანელობენ ნარკოტიკების კონტროლის თაობაზე არსებული მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებების პრინციპებითა და მიზნებით და მზად არიან, საერთაშორისო და ევროპის კავშირის სტანდარტების შესაბამისად, განავითარონ ორმხრივი თანამშრომლობის ჩარჩო ნარკოტიკების უკანონოდ მოხმარების პრევენციისა და მასთან ბრძოლის შესახებ ინფორმაციის სფეროში.

მხარეები აღიარებენ, რომ ნარკოტიკების ფენომენზე ინფორმაციის არსებობა არის არსებითი და აუცილებელი ანტინარკოტიკული პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზებისათვის; ნარკოტიკების მოხმარებისა და ბრუნვის თანმდევი პრობლემების შესამცირებლად განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასებისთვის.

მხარეები დაინტერესებულნი არიან, ერთმანეთს გაუზიარონ ცოდნა და გამოცდილება ნარკოვითარების ინდიკატორების სრულყოფისა და ჰარმონიზაციის, აგრეთვე, საინფორმაციო სისტემის განვითარებისთვის საჭირო მეთოდოლოგიების შესახებ;

ამასთან, მხედველობაში იღებენ, რომ იუსტიციის სამინისტრო კოორდინაციას უწევს ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადი პოლიტიკის შემუშავების, მისი პერიოდული განახლებისა და შესრულების მონიტორინგზე.

2. მიზანი

ამ მემორანდუმის მიზანია, მხარეებს შორის ჩამოაყალიბოს თანამშრომლობითი ურთიერთობა ნარკოტიკებზე ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გავრცელების მხრივ; ნარკოვითარების, რეაგირების მონიტორინგისა და შეფასების სისტემების შედარებითი ინდიკატორების განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის როგორც ნარკოტიკების უკანონოდ მოხმარების (ასევე, თანმდევი პრობლემების), ისე ნარკოტიკების მიწოდების (ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ჩათვლით) მონიტორინგისათვის საერთო მეთოდების სრულყოფა.

3. ვალდებულებები

მხარეები იღებენ ვალდებულებას, თითოეული საკუთარი სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში, მათ მიერვე ორგანიზებულ შეხვედრებზე მოიწვიონ მეორე მხარე საერთო ინტერესის საკითხების განსახილველად:

კერძოდ, იუსტიციის სამინისტრო გამოიყენებს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს, რათა უზრუნველყოს საქართველოში ნარკოვითარების შესახებ წლიური ანგარიშისა და ანალიტიკური მონაცემების შემუშავება და „EMCDDA“-თვის წარდგენა;

„EMCDDA“ ხელს შეუწყობს ექსპერტების მომზადებასა და გაცვლას, აგრეთვე, სამეცნიერო კვლევების შედეგების გაზიარებას ნარკოტიკების უკანონო ბრუნვისა და ნარკოვითარების მონიტორინგის პრობლემებზე, ასევე, საერთო ინტერესის სხვა საკითხებზე;

მხარეები რეგულარულად გაცვლიან ინფორმაციას ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში მოქცეულ ახალი ტიპის ნარკოტიკებსა და ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე, მათი წარმოებისა და გამოყენების ტექნოლოგიებზე.

ღონისძიებები, რომელთა ფარგლებშიც გათვალისწინებულია კონკრეტული თანამშრომლობა, განისაზღვრება ყოველ სამ წელიწადში განახლებადი ერთობლივი სამუშაო პროგრამით.

მხარეები დაიცავენ კონფიდენციალურობას სხვა ორგანიზაციიდან მიღებულ საიდუმლო ინფორმაციაზე ან დოკუმენტებზე, თუკი არ იქნება ინფორმაციის გამცემი ორგანიზაციის წინასწარი თანხმობა განსაიდუმლოებაზე.

თითოეული მხარე დანიშნავს საკონტაქტო პირს ხანგრძლივი დიალოგის შესანარჩუნებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მემორანდუმის ეფექტიანი და სრული გამოყენება.

4. სხვა საკითხები

მხარეები აცნობიერებენ, რომ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი არ არის საერთაშორისო შეთანხმება და არ წარმოშობს სამართლებრივად სავალდებულო შედეგებს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. მისი მუხლებით განსაზღვრული რეგულაციების პრაქტიკაში დანერგვა არ განიხილება როგორც ევროპის კავშირისა და მისი ინსტიტუტების მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება.

ეს მემორანდუმი ძალაშია ორივე მხარის მიერ ხელმოწერიდან ხუთი წლის განმავლობაში. თუ ხუთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ, რომელიმე მხარე მეორეს არ აცნობებს მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე, მისი მოქმედება გახანგრძლივდება შემდგომი ხუთწლიანი პერიოდით.

მემორანდუმი მოქმედებას წყვეტს შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან ექვსი თვის შემდეგ.

მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის გამოყენებასთან ან განმარტებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა მოგვარდება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

ეს ურთიერთგაგების მემორანდუმი შედგენილია ინგლისურ და ქართულ ენებზე, თანაბრად ავთენტურ ორ ეგზემპლარად. წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის დებულებათა განსხვავებული ინტერპრეტაციის შემთხვევაში, გამოიყენება ტექსტი ინგლისურ ენაზე.

ნარკოტიკებისა და ნარკომანიის
მონიტორინგის ევროპული ცენტრის
სახელით,

ვოლფგანგ გიოთცი

დირექტორი

საქართველოს იუსტიციის
სამინისტროს სახელით,

თეა წულუკიანი

მინისტრი